ახალი სხივი

საპოლიტიკო და ლიტერატურო გაზეთი

შაბათი, 13 მარტი 1910 წ. № 32

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ფიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. სახლვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმავე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და ლიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

წმიდიღება ხელის მოწერა 1910 წლის ივლისის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლის 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სახლვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, ალმატრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის მკაფებში, ქუთაისში ს. კეციალიძესთან, ჩიხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნილ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

სახალხო სასლი.

კვირას, 14 მარტს,

მუსიკალური საზოგადოება სახალხო სახლთან არსებული, გამართავს ოპერას

რიგოლეტო.

ოპერა 4 მოქმედებანია.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

დირიჟორი ბ. ვინჩენკო. — რეჟისორი ბ. რატილი.

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთების ფასი 5 კ-დან 80 კ-მდე.

ბილეთები იყიდება კასაში. — ადმინისტრატორი თ. დოლიძე

საკოლონიო ამხანაგობა

ოგოროდი

(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

ამით აუწყებს მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტართ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა შეკერილ ტანისამოსის განყოფილება. ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიულიარული ფოტომისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზი უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლათ, კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—2)

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

„სოფირი ადის“ (ბაღდადის)

აგრეშუმ სთესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათი მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიციალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარიინსკი პრისპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ).** (12—5)

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი ძ. პ. კანდელაკისა

კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა.)

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

შინაარსი: რა არის კოოპერაცია? კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. **წიგნის ფასი 35 კაპ.**

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით: ერთი ცილის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Василію К. Болквадзе. (10—1)

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ფოთის ხელის მოძწერთა

საყურადღებოთ

რადგან ზოგიერთი ადგილობრივი ხელის მომწერლები გაზეთ „ახალი სხივი“ დროზე ვერ გვაძლევენ გაზეთის ხვედრ ფულს და მით მიფერხებენ დანიშნულ 20 რიცხვს გავუსწორო ანგარიში ხსენებულ რედაქციას, მოვაგონებ ზოგიერთებს, რომ მათ ჩამაბარონ გაზეთის ხვედრი ფული. ამასთან ვსთხოვ საერთოთ ყველა ადგილობრივ ხელის მომწერთ თვის 20 რიცხვამდე ჩამაბარონ ხვედრი ფული და მით შეძლება მომცენ დანიშნულ 20 რიცხვში ანგარიში გავუსწორო რედაქციას.

პატივისცემით ფოთელი აგენტი

სიმონ ორაგველიძე.

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 13 მარტს ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ორ ცეცხლ შუა

დრ. 3 მოქ. თარ. მაჩაბლის

II

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ

ვოდ. 1 მოქ. დ. აწყურელისა

მხადდება „უდანაშაულოთ დასჯილნი“ და „ცხოვრების გარეშე“

ადგილების ფასი 5-კ. 25 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ადმინისტრატორი **კოსინკოვი**

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 14 მარტს

სახალხო სახლში, **ი. ბაევი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

ბრანდი

გენრიხ იბსენისა.

დასაწყისი დილის 11 საათზე

ადგილების ფასი 5 კ.—10 კ-დე.

ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახლი.

შაბათს, 13 მარტს

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ხალხი

დრამა 4 მოქ. პლატონისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 5 კ.—50 კ.

რეჟისორი კ. **შათირიშვილი**

ადმინისტრატორი **ა. ჭიაბეროვი.**

მართველთა გამოცდილ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზეკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ველის ქუჩა, სახლი № 12 ზემოთ სართულში. (0—15)

მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერად ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა **დაკლებულ ფასებში.**

ადრესი: Казбекская № 10. 0—3

თფილისი, 13 მარტი.

ხომიაკოვის დუმის თავმჯდომარეობიდან გადადგომა და გუჩკოვის მიერ თავმჯდომარის სავარძელზე წამოსკუპება მოასწავებს ოქტომბრისტების მხრივ უკანასკნელ ცდას თავის დაცემული პრესტიჟის აღსადგენათ. განა მოსალოდნელია აქედან რამე საგრძნობელი შედეგი ოქტომბრისტთათვის? გუჩკოვი თავმჯდომარეთ ხდება მაშინ, როცა დუმაში არ არსებობს არა თუ მკვიდრი უმრავლესობა, უბრალო უმრავლესობაც კი, რომელიც საჭიროა საკანონმდებლო დაწესებულების მოქმედებისათვის. ამის მაგიერ ჩვენ ვხედავთ, რომ დღე-დღეზე უკიდურესი მემარჯვენეები ხდებიან სრულ ბატონი დუმის, მათ თავგასულობის წინააღმდეგ თავმჯდომარე, ყოფილი მაინც არავითარ ზომებს არ ღებულობდა, ყოველივე მათი უკანონო სურვილები სფერებთან სიახლოვის გამო სრულდება, დუმის სასკანდალო ასპარეზათ გადაქცევა იმიტომ უნდათ, რომ მას სახელი გაუტეხონ ხალხის და მთავრობის თვალში და მთავრობასვე მისცენ ხელში საბუთი ახალი სახელმწიფოებრივი გადატრიალებისთვის (პერევოროტი); ოქტომბრისტები დღემდის სულ მემარჯვენეებისკენ იყურებოდენ, მათი დახმარებით ამოყვეს თავი დუმაში პურიშკევიჩმა და მარკოვ მეორეებმა, მათ საერთო ნიადაგს შეადგენდა «პატრიოტიზმი», ოქტომბრისტებს ეგონათ, რომ საკუთარ პოლიტიკას აწარმოებდენ, ნამდვილათ კი, პურიშკევიჩის და კომპ. სურვილებს ასრულებდენ და კავშირიც მათ შორის არსებობდა,—უმრავლესობაც მაშინ იყო დუმაში. ახლა, როცა ყოველივე საზღვარს გადააბიჯეს უკიდურესმა მემარჯვენეებმა დუმა გადააქციეს თავის საკუთარ „საჩაიეთ“, უკუაგდეს ყოველივე პატივი და მორიდება საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე, გუჩკოვი გამოდის და იძახის: „არ მოვითმენთო“. „ჩვენ ვუცთიო“, „ჩვენ არ მოვითმენთ“ გვესმის ამ ბოლო დროს ოქტომბრისტების ლიდერისაგან, საქმით კი არაფერი გაუკეთებია. თუ ვინმე იცავდა სახალხო წარმომადგენლობის ღირსებას, ეს მხოლოდ დუმის მემარცხენე ნაწილი, რომელსაც მთავრობა უწოდებს ანტი-სახელმწიფოებრივ ელემენტებს. აიღეთ თუ გნებავთ უკანასკნელი სხდომები დუმის, როცა თავმჯდომარეობდა ხომიაკოვი და როცა პურიშკევიჩმა შეურაცყო უნივერსიტეტის სახელი და თვით მოსწავლე ახალგაზდობა. „ესლო ხომიაკოვმა ან უნივერსიტეტის, ან სტუდენტების და მით უმეტეს, დუმის ღირსების დაცვა?! პირიქით, ს მარცხვინოს სახელით მონათლა ოპოზიციის სამართლიანი პროტესტი და მისი მეთაურები.

თუ ასეთი აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობაა დუმის შიგნით, არც დუმის გარეთ არის რამ სანუგეშო. როგორია ძალთა განწყობილება, საითკენ არის ხალხის უმეტესობის სიმპატია, ამ კითხვას ჩვენ ამ ჟამათ უპასუხოთ ვტოვებთ, ვიტყვით მხოლოთ ერთს,—რომ ეს სიმპატია არამც და არამც არაა ოქტომბრისტებისკენ, ასე რომ, მათი დუმაში სისუსტის მიზეზის სათავე აი აქ უნდა ვეძიოთ და მათ, იმედი ხალხის თავის მხარეზე გადმობირებისა, სამუდამოთ უნდა დაკარგონ, რადგანაც მათი მისწრაფებანი და ხალხის მოთხოვნილებანი ერთ წერტილშიაც ერთმანეთს ვერ ხვდებიან.

ერთი მხრით საფიქრებელი იყო, რომ დუმის კრიზისი, ოქტომბრისტების დასუსტება მთავრობას გაამგრებდა, რადგანაც მოწყალე თვალით მაინც და მაინც არასოდეს არ უყურებდენ მთავრობის წარმომადგენლები სახალხო წარმომადგენლობას. მართალია, მთავრობა მხოლოდ გაჭირვებით ურიგდებოდა დუმის არსებობას, იმას უცქეროდა, როგორც ერთგვარ ბოროტებას, სამაგიეროთ, ევროპის ბურჟუაზიასთან ისე იქცეოდა, როგორც შეფერის კონსტიტუციონურ მთავრობას, რადგანაც უამისოთ სესხს არავინ მისცემდა, უსესხოთ კი მისთვის ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა. ეს გარემოება აფიქრებს მთავრობას, აშინებს ევროპის ბურჟუაზიის აზრი, რომ სახალხო წარმომადგენლობის გაუმაგრებლობის მიზეზათ ვაი თუ ის გამოიყვანოს და დუმის კრიზისიც მთავრობის მდგომარეობას ამიტომ არყევს.

კრიზისი დუმაში, კრიზისი მთავრობაში და აი, ამ დროს კიდებს ხელს გუჩკოვი თავმჯდომარეობას. ალბათ, იმ იმედით, რომ დუმას კრიზისიდან გამოიყვანს. ფუჭი იცნაბა. საზოგადოთ პიროვნების მნიშვნელობა, რაც უნდა გენიოსი იყოს, ისტორიაში მცირედი რამ არის და გუჩკოვს გენიოსობის ხომ არაფერი სცხია. ის მეტათ პატარა კაცია და სურვილი კი დიდი აქვს; სურვილის სისრულეში მოსაყვანათ, სწორეთ პატარა კაცს რომ შეფერის, ისეთი საშუალება აურჩევია. თავმჯდომარეობა ძალტომ აუღია, როგორც ეტყობა, რომ ამით შეძლება მიეცეს მაღალ სფერებთან დაახლოვების და ეს თურმე მიაჩნია უებარ საშუალებათ რთული კითხვების მარტივათ გადასაწყვეტათ. მას რომ მეტი გამჭრიახობა ჰქონოდა, მაშინ მაღლიდან როდი დაიწყებდა და იქიდან კი არ ექნებოდა იმედი ქვეყნის გაბედნიერების, ის ამისთვის ქვევით, ხალხში მოიმაგრებდა ფეხს, ამის შემდეგ კი მაღლაც იცნობდენ და ყურადღებას მიაქცევდენ ის ხალხისაგან გამაგრებას კი არ ეძებს, ხალხს და მის მოძრაობას წარამარა წიხლავს, მაგრამ ჩაწიხლული თვითონ არის დღესაც, თუმცა კიდევ ვერ გრძნობს, მარა მალე აგრძნობინებენ კი. სფერებთან უკიდურესი მემარჯვენეები უფრო ახლოს არიან, გუჩკოვს ტყუილი იმედი აქვს მათი სახელის გატეხის და თავის თავის ავტორიტეტის მოპოვებას. აშკარაა, გუჩკოვი თავმჯდომარე, დუმას ამგვარი საშუალებით კრიზისისაგან ვერ იხსნის.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან)

12 მარტი.

სპარსეთი

თავრიზი. შინაურ სესხზე ხელის მოწერით ჯერ-ჯერობით შეკოკდა მხოლოდ 280 მ.

ოსმალეთი

სალონიკი. ბოლგართა რამდენიმე სოფელში მოხდა ჩხრეკა. დაპატიმრეს 10 კაცი.

სალონიკი. მონასტრის ალბანელთა ცენტრალური კლუბი მოუწოდებს 15 მარტს ალბანელთა ყველა კლუბების კონგრესს. კონგრესის მიზანია გასწორონ თვითონ პროპაგანდა ლატინურ შრიფტის შემოღების შესახებ.

სტამბოლი. წინასარმეტყველ მაჰომედის დაბადების დღის გამო ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

საზღვარ გარეთ

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. დილის სხდომაზე ჩვენებას ართმევენ ფალს. ის ამბობს, რომ ტარნოვსკაიას დედის და სიგიჟის გამო მოკვდა, მისი სამი შვილები საგიჟეთში არიან, ბებიაკ, დედიდან გიჟი იყო. კიევის ვექილი ბერშტეინი ამბობს, რომ ტარნოვსკაიას განქორწინების დროს უმთავრესი დამნაშავეა თვით ტარნოვსკი. ბერშტეინი ტარნოვსკაიას რწმუნებული იყო და აჩქარებდა განქორწინების საქმეს, რომ ჩქარა გაჰყოლოდა ცოლათ კომაროვსკის. ტარნოვსკაია თანახმა იყო განქორწინების დასაჩქარებლათ თვითონ ეკისრა დანაშაული.

ვენეცია. ბერშტეინი დაწვრილებით ლაპარაკობს ტარნოვსკიების განქორწინების პროცესის შესახებ. ექიმი, რომელიც 12 წლის წინათ ექიმობდა გენუაში ტარნოვსკაიას, იგონებს, რომ ტარნოვსკაიას ავათმყოფობის დროს მისი ქმარი ღამე შინ არ მიდიოდა და სულ მთვრალი იყო. ექიმები, რომლებიც ავალყურს ადევნებდენ ტარნოვსკაიას ციხეში, აღნიშნავენ, რომ ის ხშირათ ხდებოდა ნერვებით ავათ. სხვათა შორის მათ სთქვეს, რომ ტარნოვსკაიას უნდოდა თავის მოკვლა და დალია კოკაინი. მოწყალების დაც მოწმობს, რომ ტარნოვსკაიას ხშირათ ეშლებოდა ნერვები.

პარიჟი. გავასს ატყობინებენ ადდისაბებიდან: ნეგუს-მელენიკი სიკვდილის პირათ არის. დედოფალი ტაიტუ ტახტიდან ჩამოაგდეს, ის აიძულეს დაეტოვებია სასახლე. სხვადასხვა ტომთა წინამძღოლებმა ახალ ნეგუსს შეფიცეს.

ლონდონი. რადგან ინდოელების და მუსულმანების დღესასწაული ერთ დღეს შეხვდა, მოხდა შეტაკება. მოკლეს სამი მუსულმანი და ორი ინდოელი, დაიჭრა 40 კაცი.

ეპარი. ქალაქი ჯარმა დაიჭირა. წესიერება აღდგენილ იქნა. ბევრი დაიჭირეს.

რუსეთი

ვარშავა. სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი 20 კაცის შესახებ, რომელთაც სუვალკის საავათმყოფოდან დამნაშავეების განთავისუფლებას აბრალებდენ. პალატამ ყველას ექვსიდან ათ წლამდე კატორღა გადაუწყვიტა. ამათგან 13 გამართლებული იყო სუვალსკის სასამართლოს მიერ.

ქუთაისი. დაიჭირეს აზოვის ბანკის მოხელე. აბრალებენ ყალბი ჩეკების კეთებას.

ზვენკოვი. ქალაქის საბჭომ დაადგინა საყოველთაო სწავლის შემოღება.

რომანო ბორისოგლებსკი. ექიმ მაკაროვს მცირე-წლოვან ქალთა გახრწნისათვის სასამართლომ ექვსი წლის კატორღა გადაუწყვიტა.

პეტერბურგი. მწერალთა სიეზდი მოხდება აღდგომის კვირაში, უკეთუ საკმაო რიცხვი შეგროვდა. ვისაც სიეზდზე დასწრება უნდა, დეპეშით უნდა აცნობოს საორგანიზაციო კომიტეტს არა უგვიანეს 17 მარტისა. გრადოვსკის, ზაგოროდნი 4.

სენატმა უყურადღებოთ დასტოვა საეიცკის და სხვების საკასაციო საჩივარი, რომელთაც ვარშავის სამოსამართლო პალატის მიერ გადაწყვეტილი ქონდათ ორიდან ცხრა თვემდე ციხე, პოლონეთის მასწავლებელთა საზოგადოების წევრობისათვის, რომლის მიზანი იყო რუსულ სკოლების ბოიკოტი.

კრემენჩუგი. სამხედრო სასამართლომ ორ მძარცველს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

უკანასკნელი ფოსტა

ფოთელი აღმოსავლეთი.

არეულობა კანტონში გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: კანტონის მახლობ-

ლათ იდგენ ახალი ჯარები. პოლიციამ ეჰვი აიღო, რომ ჯარისკაცებში რევოლიუციონერები იყვენ და ისურვა მათი დატუსაღება. ამ გარემოებამ ჯარის კაცები გააბრაზა, რასაც შედეგათ ჯარის კაცთა და პოლიციელთა შეტაკება მოყვა. დატუსაღებულ ჯარის კაცებს ამხანაგები მიეშველენ, სულ თავი მოიყარა 10,000 მდე კაცმა. შეშინებულმა ქალაქის მცხოვრებლებმა ქალაქის შემოსავალი ჭიშკარი დახურეს და ორი დღის განმავლობაში არ გაუღიათ. არეულობა ჩაქრო ახლათ მოსულმა ჯარმა.

რუსეთი.

შეკითხვების კომისიამ ერთხმათ მიიღო სოციალდემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა, რომელიც შეეხება საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის უკანონო მოქმედებას გადასახლებულთა ამხანაგობის მიერ პოლკოვნიკ დურასოვისაგან მამულის შეძენის საქმეში. შეკითხვა მიმართულია ფინანსთა მინისტრისადმი.

მასწავლებლები და სამხედრო ბეგარა. ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსდა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა შეღავათების შემოკლების საკითხი სამხედრო ბეგრის მოხდის საქმეში.

უკანასკნელ სხდომაზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლებისათვის. კომისიამ დაადგინა, რომ პედაგოგიურ მოღვაწეობას არ შეუძლია, როგორც ეს აქამდი იყო, ამა თუ იმ პირის სამხედრო ბეგრისაგან სრულებით განთავისუფლება. მასწავლებლობას შეუძლია მხოლოდ ერთი წლის ვადით შეამციროს სამხედრო ბეგარა. ამიტომ ყველა ის პირები, რომლებსაც აზრათ აქვთ პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობა, ვალდებულნი არიან სასწავლებლიდან გამოსვლისათანავე სამხედრო ბეგარა მოიხადონ. საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოიხადონ სამხედრო ბეგარა საოსტატო ინსტიტუტებში და სემინარიებში კურს დამთავრებულებმა, რომელნიც ხშირათ სასწავლებლიდან გამოსვლის დროს სრული წლოვანი არ არიან,—ეს საკითხი მომავალში იქნება გადაწყვეტილი.

სახალხო განათლების მინისტრი, რომელიც კომისიის სხდომას დაესწრო, თავიდან მომხრე იყო არსებული წესის დაცვის, მაგრამ ბოლოს სამხედრო მინისტრის წინადადებას დაეთანხმა და შასაძლებლათ დაინახა მასწავლებელთათვის მოისპოს არსებული შეღავათი სამხედრო ბეგრის მოხდის საქმეში.

სამხედრო ბეგარის მოხდა სავალდებულოთ უნდათ გახადონ სხვა უწყებებში მოსამსახურეთათვისაც.

კომისიის დადგენილება ახლო მომავალში განსახილველათ გადაეცემა მინისტრთა საბჭოს და შემდეგ-კი საკანონმდებლო დაწესებულებებს გადაეცემა დასამტკიცებლათ.

ქალები საინტენდანტოში. საინტენდანტოების უმთავრესმა გამგეობამ რუსეთის ქალთა ლიგის საბჭოსაგან განცხადება მიიღო. განცხადების ავტორები მოითხოვენ, რომ ქალებს უფლება მიენიჭოთ საინტენდანტო უწყებაში იმსახურონ. საინტენდანტოს გამგეობამ შესაძლებლათ ვერ დაინახა ამ ჟამათ ქალთა ლიგის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საპროტესტო რეზოლიუციები. პუერიშკევიჩის უკანასკნელი სამარცხვინო გამოსვლის გამო საპროტესტო რეზოლიუციები მიიღეს: რაევის ისტორიულ—ლიტერატურულ და იურიდიულ უმაღლეს ქალთა კურსებზე, პეტერბურ. ქალთა უმაღლეს კურსებზე, პეტ. ქალ. უმაღლეს პოლიტხნიკურ კურსებზე, ფსიხონერვოლოგიურ კურსებზე და სხვა უმაღლეს კურსებზე.

ტამბოვის გუბერნატორის ცირკულაარიდან. ტამბოვის გუბერნატორმა მამა-შვილური დარიგება მისცა ცირკულიარის სახით თავის სამფლობელოში არსებულ საერობო დაწესებულებებს. სწერს მათ, ანუ უფრო ლამაზათ რომ ვსთქვათ სთხოვს გაარჩიეთ მარცხენა მარჯვენასაგან, ხომ იცით როგორ გარყვნეს რუსეთის ინოროდცებმა და მათგანვე მოსყიდულებმა პრესაო. შემდეგ მოყავს: სასურველ და არა სასურველ გამოცემათა სია. გუბერნატორის სიტყვით სასურველია შემდეგი გამოცემანი—პეტერბურგის: ნოვოე ვრ., ზემჩინა, კოლოკოლ, სვეტ, როსია, რუსკ ოჩტ, რუს. ზნამია, პეტერ. ვედომოსტი, მოსკოვის გამოც. რუსსკაია რეჩ, მოსკოვსკია ვედ. და მოსკოვ. ლისტოკი. თუმცა დიდათ სასურველი არაა, მარა შეიძლება იკითხოს კაცმა: გოლ. მოსკვი, პეტერ. გაზეტა, პეტერბ. ლისტოკ და რუსკია-ვედომოსტი, არა სასურველი: რეჩი, ნოვაია რუს, პეტერბურგ და ბირჟ. ვედ. მოსკოვის გამოცემანი: უტრო როსიი და რუსკოე სლოვო.

სასურველი ჟურნალები: ისტორ. ვესტნიკ., რუსსკაია სტარინა, როდინა, რუსკ არხივ და ნივა. მოსათმენია: ვესტ. ევროპი, და რუს. მისლ. არამც და არამც არაა დასაშვები: სოვრემენნი მირ, რუსსკოე ბოგატსტვო, ვესტნიკ ზნამია, ობრაზოვანიე და ჟურ. დლია ვსეხ.

მიცურავს ნავი

(სურათები).

I.

ქარი აღარ ჰქრის,
ზღვა სდუმს, არ იძვრის;
ლაჟვარდი ცისა
მაღლით დასცქერის:
პირ-ბადრი მთვარე
აფრქვევს ნაზ სხივებს
და ალამაზებს
ზღვისა ნაპირებს.
მიცურავს ნავი... მენავე, ვინმე,
გულ-დამშვიდებით უსობს ნიჩაბსა.
თვალ-წარმტაცს სურათს შესტრფის, შეჰხარის
და აფრიალებს თავის ალამსა.

II.

ქარი სისინებს,
ზღვა იზმორება,
ტალღა ლიკლიკებს
და იმუქრება.
შავს ღრუბელთ შორის
ელვა ენთება;
პირქუშობს ზეცა
და იცრემლება.
მიცურავს ნავი... მენავე, ვინმე,
ეხლა მხნედ უსობს თავის ნიჩაბსა.
გრძნობს ქარიშხლის მოახლოვებას
და აფრიალებს ბრძოლის ალამსა.

III.

ზღვა შფოთავს, გრგვინავს,
აცურებს ტალღებს;
გაავხნებული
ებრძვის ნაპირებს.
მეხს იტყორცნება
ცა წარბ-შეკრული,
კვნესის ქვეყანა,
ბნელით მოცული.
მიცურავს ნავი... მენავე არ ჰკრთის,
თვით ქარიშხალის მონატრულია!
ებრძვის მძლავრ ტალღებს, წინ მიისწრაფვის,—
ვიშ! რა დიადი სანახავია!..
არ ეპუება უცხო ის გმირი
მძვინვარე გრიგალს, ზღვის სასტიკ ტალღებს.
სახე უბრწყინავს და უსობს ნიჩაბს...
ბრძოლის ალამიც ტურფად ფრიალებს.

ილ. რუხაძე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ თფილისის ქალთა წრემ თავის უკანასკნელ სხდომაზე თათბირი იქონია ეკ. გაბაშვილის იუბილეის შესახებ და დაადგინა: ეკ. გაბაშვილის 40 წლის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავი დღესასწაული შემოდგომამდე გადასდონ და ამ დროამდე გამოსცენ მისი საუკეთესო თხზულებანი. სარედაქციო კომისიაში არჩეულნი არიან ს. მაღალაშვილი ა. თუმანიშვილი წერეთელისა ნ. ნაკაშიძისა, ვ. ღამბაშიძე, პ. სურგულაძე და ი. აგლაძე.

✦ სესხის განაღდება. კვირას, 14 მარტს, დანიშნულია ქალაქის გამგეობის და საფინანსო კომისიის წევრთა შეერთებული კრება, რომელიც გაარჩევს პირობებს, რომლითაც თფილისის ცხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებანი იძლევიან ქალაქის სესხის გასაღდებლათ.

✦ სასკოლო ადგილი. როგორც ვიცით, მუსულმანთა საკელმოქმედო საზოგადოებას ქალაქი დაუთმო მიწა სკოლისათვის. ქალაქის საბჭოს ეს დადგენილება გუბერნატორმა დაამტკიცა. მუსულმანთა საქალებო სკოლა მალე გაიხსნება.

✦ სამხედრო სასამართლო. კავკასიის ნამესტნიკი საჭიროთ სცნობს სურამის მამასახლისის მკვლელობის საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცეს.

✦ გუბერნატორის შეკითხვა. თფილისის გუბერნატორი ქალაქის გამგეობას თხოვს შეატყობინოს, თუ რა დამოკიდებულება ქონდა ხმოსან ს. ფ. ჭრელაშვილს ეგრეთ წოდებულ „ბატალიმირზოევის“ საქმესთან. (ტ. ლ)

✦ ყვავილა ავლაბარში. ქალაქის გამგეობას ცნობები მიდის, რომ ავლაბარში გაჩენილა გადამდები აეთმყოფობა—ყვავილი.

✦ უსაქმოთ დარჩენილი მუშები. როგორც ვიცით, ქალაქის განათების მუშათა შტატი შეამცირა ქალაქმა. უსაქმოთ დარჩენილ მუშებს თხოვნი მიუმართავთ ქალაქისათვის, მისცეს ნთ დახმარება.

✦ ქალაქის ლომბარდის გასული წლის მოგება უდრის სულ 18338 მ.

✦ ქართლადან გვატყობინებენ, რომ იქ ბაღებში, გაჩენილა რალაც მატლი, რომელიც დიდ ზარალს აყენებს მცენარეებს, ხრავს მცენარების ფესვებს, აფუჭებს ფოთლებს.

✦ იარაღის საწყობი. 10 მარტს, პოლიციამ გაჩხრიკა სასტუმრო „ევროპის“ პატრონის პ. ვლ. ვ. რუბომის ბინა, სადაც იპოვეს „ვინტოვკ“, პატრანტაში და პატრონები, რევოლვერი, სანადირო თოფი და სხვა. იარაღის ნებართვა რუბომს არ აღმოაჩნდა. რუბომმა განაცხადა: ვინტოვკა და პატრონები მას კავკავის პოლკის ჯარის კაცმა ხეტაგუროვმა გადასცა, რომელიც მის სასტუმროში ცხოვრობს, სანადირო თოფი და რევოლვერი ეკუთვნის ინჟენერ კოსტიევს, რომელიც ამ ჟამათ ქალაქ-ფოთში ცხოვრობს. საქმის გამოძიებამდე პოლიციამ იარაღი წაიღო, ნება-დაურთველათ იარაღის შენახვისათვის, რუბოვს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ ვერის სახალხო აუდიტორია. დღეს, 13 მარტს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა „ორ ცეცხლ შუა“, დრამა 3 მოქ.—თარგმანი მაჩაბლისა და „კოლ-ქმრობის წინაალმდეგ“.—ვოდევილი 1 მოქმედებაი, დ. აწყურელისა. ფასები შემცირებულია. დასაწყისი 8 ს.

✦ საბავშვო კითხვები. კვირას, 14 მარტს ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი დიდია ქართულათ წაიკითხავს: „უფროსი შვილი“, ქ-ნი ბერიევა—„მაღაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 10 საათზე.

— ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ახალშენიშვილისა—„საუბარი მელაზე, მგელზე და ტურაზე“, ქ-ნი ავალიანი—„თომას თავგადასავალი“. დასაწყისი 11 საათზე.

— ავლაბრის აუდიტორიაში ამავე დღეს ქ-ნი ჟორდანია წაიკითხავს: „მამაცი მკერვალი“, ქ-ნი ასათიანისა—„მიმუნი და დარაჯი“. დასაწყისი 11 საათზე.

✦ ქურდობა აბანოში. 9 მარტს ქალაქის მცხოვრებ, ლ. ი. მეტრეველი საბანაოთ, ღამით ბებუთოვების აბანოში შევიდა. ტანისამოსი წინა ოთახში დატოვა—ტანისამოსი ვიღაცას წაუღია და მის ადგილას ძველი ტანთ-საცმელი დაეტოვებია თავის ტანისამოსი მეტრეველმა 70 მან. დაიფასა. აბანოს პატრონმა მეტრეველს ეს ფული გადასცა.

✦ ოქმები. 12 მარტს, „სალდათის ბაზარში“ ქალაქის სანიტარულმა კომისიამ დაათვალიერა სასმელ-საჭმელის საკეროები, სადაც ბევრ ადგილას უსუფთაობა აღნიშნეს. შეადგინეს ოქმები.

✦ საპოლიციო უბნები. როგორც ვიცით, ქალაქი თფილისი დაყოფილია 12 საპოლიციო უბნებათ. უბნების სახელებია: პირველი—ვერის უბანი, 2—თეატრალური, 3—სასახლის, 4—ბაზრისა, 5—ვორონცოვის, 6—ნავთლუღის, 7—ავლაბრის, 8—რიყის, 9—კუკიის, 10—მიხაილოვის, 11—„ზავკზალნი“ და 12—დიდუბისა.

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება 10 მარტს სხვა და სხვა უბნებში ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო 25 უპასპორტო.

✦ გადასახლებული. 11 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲣᲛᲐᲨᲘ.

ერთ ჩემს წერილში მე უკვე აღვნიშნე, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი კანონ-პროექტი კავკასიაში ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ სახელმწიფო სათათბიროს მესამე სესიის დასაწყისში.

მიწების საკითხის კომისიამ პირველ სხდომაზევე გადასცა აღნიშნული კანონ-პროექტი ამავე კომისიის მესამე სექციას და დაავალა განეხილა იგი და თვისი აზრი წარედგინა კომისიისათვის რაც შეიძლება საჩქაროთ.

პირველი სხდომა ამ სექციას ქონდა წარსული წლის 24 ნოემბერს.

აი ამ სხდომის შედგენილობა და მისი შინაარსი:

თავმჯდომარე ვ. ა. ხარლამოვი. ქვეკომისიის წევრები: ზ. ნ. ბაიბურინი, ვ. დ. გუზი, ნ. ნ. დუდნიკოვი, ნ. ტ. ივანოვ 2, ი. ფ. კადაცკოვი, ს. ო. ლავროვი, ი. ი. სალათელიანი, ნ. ს. ჩხეიძე და პ. ლ. შერვაშიძე.

სახ. დუმის წევრები: ი. ბ. ი. გაიდაროვი და ხ. ბ. გ. ბ. ხას-მამედოვი.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა განიხილონ სახ. დუმის 34 წევრის საკანონმდებლო წინადადება ამიერ-კავკასიის მხარეში გლეხთა მემამულეებისადმი ვალდებულობის მოსპობის შესახებ. ამ რთული და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გასაცნობათ აქვე კომისია საჭიროთ სცნობს მოისმინოს კავკასიელი დეპუტატების და დასახელებული საკანონმდებლო წინადადების ავტორების განმარტება.

ნ. ს. ჩხეიძე ახასიათებს კავკასიის გლეხების მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას მემამულეებთან. საგლეხო რეფორმა, რომელიც კავკასიაში 1864 წ. დაიწყო და დამთავრდა 1876 წ., არ იყო ბოლომდის მიყვანილი და გლეხები დროებით ვალდებულნი დარჩენ მემამულეებთან; ზოგიერთმა მიწის მუშა მოსახლეებმა, რომელნიც გლეხთა წოდებას არ ეკუთვნოდენ, «ვალდებულთა» სახელწოდება მიიღეს. საქართველოში გლეხთა მემამულეებისადმი ვალდებულება გამოიხატა იმაში, რომ გლეხები იხდიან მემამულეების სასარგებლოთ ჭირნახულის სახით ძირითადი სიგელებით განსაზღვრულ ბეგარას, ამ ბეგარის რაოდენობა უდრიდა გლეხის ნადელის მთელი შემოსავლის მეოთხედს. გარდა ამისა, დაწესებული იყო განსაკუთრებული გადასახადი სამოსახლო მიწით სარგებლობისათვის და მემამულის სასარგებლოთ მუშაობა.

დაწესებული ბეგარის განუსაზღვრელობა ხშირათ მებატონეთა და გლეხებს შორის დაუსრულებელ დავას იწვევდა, უმთავრესათ კი იმ შემთხვევებში, როდესაც მამული რამდენიმე პირს ეკუთვნოდა, რომელთაც ურთ-ერთ შორის ჩხუბი მოსდიოდათ. გლეხების მდგომარეობა ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგაც არ გაუმჯობესებულა, რადგან მათ მცირე ნადელები მისცეს, მაგ. თფილისის გუბერნიაში კომლზე 5 დეს., ქუთაისის გუბ. —$1^1/_2$ დეს., მიწის ღალა კი ძალიან დიდი იყო შეწერილი—9 მან. დესიატინაზე, სამჯერ მეტი იმ დიდ ღალაზე, რომელიც ევროპის რუსეთში არსებობს. ბეგარაც გადიდდა, რადგან დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძის უქვეშევრდომილესი მოხსენების თანახმათ (1 ივლისი 1865 წ.) ბატონ-ყმობის დროს ბეგარა არ აღემატებოდა გლეხების მთელი შემოსავლის $^1/_5$, და ხანდისხან კი მოსავლის მე-$^1/_{20}$-საც არ უდრიდა.

ამას გარდა, რადგან მემამულეებს უფლება მიეცათ მამულის ნახევარი თავიანთ განკარგულებაში დაეტოვებიათ, წვრილ მესაკუთრე აზნაურებს-კი, რომელთაც თფილისის გუბ. 30 დესიატინაზე ნაკლები ქონდათ, ქუთაისის გუბ. კი 30 ქცევაზე ნაკლები უფლება მიეცათ სრულებით არაფერი დაეთმოთ გლეხებისათვის, ყოფილმა საბატონო გლეხებმა, რომელნიც ჩვეულებრივათ ბატონის მამულით სარგებლობდენ, ან იმაზე მცირე ნადელი მიიღეს, რითაც წინათ სარგებლობდენ, ან სულ უნადელოთ დარჩენ. ის „ჩამონაჭრები“, რომლებიც ისევ მემამულეთა საკუთრებათ დარჩა, ჩვეულებრივათ ისევ გლეხებს ეძლეოდათ დასამუშავებლათ, მხოლოდ ძალიან მაღალ საჯარო გადასახადით. ამ ხნის განმავლობაში მიწის მუშა გლეხების მეურნეობა თან და თან ეცემოდა, მაგ., დესიატინა მიწა ქუთაისის გუბერნიაში მე 70 წ. წ. იძლეოდა 180—200 ფუთ სიმინდს, ამ ჟამათ-კი ძლივს იძლევა 60—80 ფუთს. კავკასიაში მიწები ძალიან გამოფიტულია მუდმივი ექსპლოატაციით, ამუშავებენ პრიმიტიული იარაღებით, ძვირათ თუ ვინმე ანოყიერებს ან დაუხნავს სტოვებს სათეს მიწებს. ამ გვარათ, მიწის სიმცირემ, გლეხთა და მემამულეთა დამოკიდულების და მათი ურთიერთ შორის ვალდებულების განუსაზღვრელობამ, ბეგრის მომატებამ მემამულეთა სასარგებლოთ და სანადელო მიწების მოსავლის შემცირებამ, გლეხების მდგომარეობა იქამდის მიიყვანა, რომ მათი ცხოვრება დღეს მძიმე და აუტანელი შეიქნა.

მუსულმანებით დასახლებულ პროვინციებში დროებით ვალდებულ მცხოვრებთა მდგომარეობა უმჯობესია, რადგან სანადელო ბეგარა აქ უფრო მცირეა დაწესებული, ვიდრე საქართველოში, სახელდობრ,—მთელი მოსავლის $^1/_{10}$, თვით ნადელის რაოდენობა-კი დაწესებული იყო 5 დესიატინა სულზე. ჩამონაჭრების უფლება მემამულეთა სასარგებლოთ შეზღუდული იყო და მის სივიწროვეს დასახელებული პროვინციების მხოლოთ ზოგიერთ ადგილებში გრძნობენ. მიუხედავათ ამისა, გლეხის მდგომარეობა ამ გუბერნიებშიც ძალიან უნუგეშოა, რადგან დაწესებულ არ იყო, რომ გლეხებს ხაზინის სავალდებულო დახმარებით თავიანთი ნადელი გამოესყიდათ. გლეხებს ნადელი უდა გამოესყიდათ მემამულეებთან მორიგებით და ხაზინის დაუხმარებლათ. მამულეები სრულებით არ ცდილობდენ შეწყვიტათ გლეხებთან მათთვის (მემამ.) სასარგებლო სავალდებულო დამოკიდულებანი, გლეხებს-კი თავისუფალი ფული არ მოეპოვებოდათ თავიანთი ნადელის სრულიად გამოსასყიდათ. ამას შეეგათ ის მოყვა, რომ მუსულმანებით დასახლებულ ადგილებში გლეხების მიერ გამოსყიდულ იქნა ძალიან მცირე ნადელები, და მცხოვრებთა დიდი უმრავლობა ისევ ძველებურ სავალდებულო დამოკიდებულებაში დარჩა მემამულეებთა.

ზაქათალის ოლქში აგილობრივ მცხოვრებთა ბეგებისადმი ვალდებულება გამოიხატება კიდევ იმაში, რომ „რაიატები“ ვალდებულნი არიან სხვა ბეგრის გარდა იხადონ განსაკუთრებული მიწის ბეგარა, რომელიც მოსავლი $^1/_{10}$—$^1/_7$ უდრის. გარდა ამისა, ზაქათალის ოლქში არიან კიდევ ე. წ. „აკეშლის“ სოფლების მცხოვრებნი (კეშელის მფლობელნი), რომელნიც ვალდებულნი არიან აძლიონ ლეკებს, რომლებსაც ეს მცხოვრებნი დაუპყრიათ, განსაზღვრული ჭირნახულის ღალა მუდმივი მიწის სარგებლობისათვის. როგორც ადრესანში, ისე ზაქათალის ოლქშიაც სავალდებულო დამოკიდებულებანი დაუსრულებელი ჩხუბის წყაროთ ხდებიან და ადრესტანში მე—90 წ. ორი ამბოხებაც-კ გამოიწვია, რომელიც მალე იქნა ჩაქრობილი. არალოთ შეზღუდული იყო ამ ბეგის ტუმროში ცხოვრობს, სანადირო თოფი და რევოლვერი ეკუთვნის ინჟენერ კოსტიევს, რომელიც ამ ჟამათ ქალაქ-ფოთში ცხოვრობს. საქმის გამოძიებამდე პოლიციამ იარაღი წაიღო, ნებადაურთველათ იარაღის შენახვისათვის, რუბოვს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ ვერის სახალხო აუდიტორია. დღეს, 13 მარტს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა „ორ ცეცხლ შუა“, დრამა 3 მოქ.—თარგმანი მაჩაბლისა და „კოლ-ქმრობის წინაალმდეგ“.—ვოდევილი 1 მოქმედებაი, დ. აწყურელისა. ფასები შემცირებულია. დასაწყისი 8 ს.

✦ საბავშვო კითხვები. კვირას, 14 მარტს ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი დიდია ქართულათ წაიკითხავს: „უფროსი შვილი“, ქ-ნი ბერიევა—„მაღაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 10 საათზე.

— ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ახალშენიშვილისა—„საუბარი მელაზე, მგელზე და ტურაზე“, ქ-ნი ავალიანი—„თომას თავგადასავალი“. დასაწყისი 11 საათზე.

— ავლაბრის აუდიტორიაში ამავე დღეს ქ-ნი ჟორდანია წაიკითხავს: „მამაცი მკერვალი“, ქ-ნი ასათიანისა—„მიმუნი და დარაჯი“. დასაწყისი 11 საათზე.

✦ ქურდობა აბანოში. 9 მარტს ქალაქის მცხოვრებ, ლ. ი. მეტრეველი საბანაოთ, ღამით ბებუთოვების აბანოში შევიდა. ტანისამოსი წინა ოთახში დატოვა—ტანისამოსი ვიღაცას წაუღია და მის ადგილას ძველი ტანთ-საცმელი დაეტოვებია თავის ტანისამოსი მეტრეველმა 70 მან. დაიფასა. აბანოს პატრონმა მეტრეველს ეს ფული გადასცა.

✦ ოქმები. 12 მარტს, „სალდათის ბაზარში“ ქალაქის სანიტარულმა კომისიამ დაათვალიერა სასმელ-საჭმელის საკეროები, სადაც ბევრ ადგილას უსუფთაობა აღნიშნეს. შეადგინეს ოქმები.

✦ საპოლიციო უბნები. როგორც ვიცით, ქალაქი თფილისი დაყოფილია 12 საპოლიციო უბნებათ. უბნების სახელებია: პირველი—ვერის უბანი, 2—თეატრალური, 3—სასახლის, 4—ბაზრისა, 5—ვორონცოვის, 6—ნავთლუღის, 7—ავლაბრის, 8—რიყის, 9—კუკიის, 10—მიხაილოვის, 11—„ზავკზალნი“ და 12—დიდუბისა.

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება 10 მარტს სხვა და სხვა უბნებში ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო 25 უპასპორტო.

✦ გადასახლებული. 11 მარტს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული

დაიწყო და დამთავრდა 1876 წ., არ იყო ბოლომდის მიყვანილი და გლეხები დროებით ვალდებულნი დარჩენ მემამულეებთან; ზოგიერთმა მიწის მუშა მოსახლეებმა, რომელნიც გლეხთა წოდებას არ ეკუთვნოდენ, «ვალდებულთა» სახელწოდება მიიღეს. საქართველოში გლეხთა მემამულეებისადმი ვალდებულება გამოიხატა იმაში, რომ გლეხები იხდიან მემამულეების სასარგებლოთ ჭირნახულის სახით ძირითადი სიგელებით განსაზღვრულ ბეგარას, ამ ბეგარის რაოდენობა უდრიდა გლეხის ნადელის მთელი შემოსავლის მეოთხედს. გარდა ამისა, დაწესებული იყო განსაკუთრებული გადასახადი სამოსახლო მიწით სარგებლობისათვის და მემამულის სასარგებლოთ მუშაობა.

